№ 269 მთავრობის მოამბე

საქართველოს რესპუბლიკა

ოფიციალური გაზეთი

ნელიწადი მესამე

ფასი 10 მან. პარასკევი, ნოემბრის 26 1920 წ.

მთავრობის მოამბე, ოფიციალური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 15 მან. 4-ხე გ. 10 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 300 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 160 მ. სასამართლ. წყვ. განცხადებანი 120 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20%, რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—32.

სახელმწ. თეატრი.

ოპერა.

პარასკევს, 26 ნოემბერს ბალეტის საღამო მორდკინისა.

„ᲨᲘᲖᲔᲚᲘ“

შაბათს 27 ნოემბერს, ოპერა ნუშებისთვის „ქეთო და კოტე“, კვირას 28 ნოემბერს „აბესალომ და ეთერი“, ორშაბათს 29 ნოემბერს ქართულ ენაზე ოპერა „ლალატი“. დასაწყისი სრულ 8 საათზე საღამოს. 1002 1—1

სახელმწიფო დრამის თეატრი

(ყოფილი არტისტიული—რუსთველის პრ. № 21. ტელ. 8-07)

შაბათს, ნოემბრის 27-ს პირველად.

„ᲖᲦᲕᲐᲡᲗᲐᲜ“ ენგელი'ა.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. რეჟისორი მ. ქორელი.

შაბათს, დეკემბრის 4-ს პირველად ქართულ ენაზე ორიგინალური ტრაგედია

„ᲒᲔᲠᲓᲝ-ᲖᲛᲐᲜᲘᲐ“ ალ. შანშიაშვილისა.

ახალი დეკორაციები მხატვარის ვალ. სიდამონ-ერისთავისა.

რეჟისორი ალ. ახმეტელი.

მუსიკა დ. არაყიშვილისა: ბალეტი და ხორო. ბილეთები კასაში.

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ.

ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

სახელმწიფო კონტროლიორის აძხანაგისა.

23 ნოემბერი, 1920 წ., № 467.

დათხოვნილია სამსახურიდან: თანახმად მისი თხოვნისა სახელმწიფო კონტროლის ბათომის საოლქო განყოფილების მოანგარიშე მოხელე იოსებ სარჯველაძე ა. წ. 15 ნოემბრიდან.

სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგი: კ. ანდრონიკაშვილი.

—

ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის სამმართველოს უფროსისა.

1 ნოემბერი, 1920 წ., № 57.

გამწესებულნი არიან: ყოფილი მოხელე იაკობ მაზური 3 ხარისხით ტფილისის ტელეგრაფის კანტორაში, ყოფილი მოხელე ქალი მარიამ თარგამაძე 6 ხარისხით ქუთაისის ქალაქის განყოფილებაში, ახალ. სენაკის დამტარებელი მიხეილ ლომაია პირველ კატეგორიის ფოსტალიონად, მოქალაქე ლეონიდე ჩანტლაძე ზედამხედველის თანამდებობის აღმასრულებლათ დაბალი ჯამაგირით ტფილისის ტელეფონის ქსელზე, მაზური 6 ნოემბრიდან, თარგამაძე და ჩანტლაძე 1 ნოემბრიდან, ლომაია 11 ნოემბრიდან.

დანიშნულნი არიან: ახალ-სენაკის ფოსტალიონი ანდრია ტაბაღუა 6 ხარისხის მოხელეთ გაგრაში, ჩოხატაურის 3 ხარისხის მოხელე არსენ ლორია 4 ხარისხით ჩოხატაურში, ტფილისის მეხუთე განყოფილების 4 ხარ. მოხელე მიხეილ ვაშაკიძე მე-3 ხარისხით ტფილისის ტელეგრაფის კანტორაში, ხაშურის ზედამხედველი დაბალი ჯამაგირით პავლე შენგელია ზედამხედველათ მაღალი ჯამაგირით ართაანში, ტაბაღუა 6 ნოემბრიდან, დანარჩენნი 1 ნოემბრიდან.

გადაყვანილნი არიან იმავე წოდებით: ქუთაისის 4 ხარისხის მოხელე ქალი მარიამ მაჩაბელი და ბათომის 3 ხარისხის კირილე ნაცვლიშვილი ერთი მეორის ადგილზე. ქუთაისის 3 ხარისხის მოხელე კონსტანტინე იოსელიანი ტელეფონის ქსელზე, ტყიბულის 6 ხარისხის მოხელე კალისტრატე კოვზირიძე ზესტაფონში, ყველანი თანახმად თხოვნისა 1 ნოემბრიდან.

დათხოვნილნი არიან სამსახურიდან: ართაანის ზედამხედველი აკაკი ლეკვინაძე ცაგერის ზედამხედველი ნესტორ ესაკია, ლაგოდეხის ფოსტალიონი ლევან ახობაძე, სამმართველოს კანცელარიის მოხელე ქალი ანნა ღვინიაშვილი, ბორჯომის მე-4 ხარისხის მოხელე მიხეილ ბიბილაშვილი და ტფილისის ტელეგრაფის კანტორის მე-3 ხარისხის მოხელე ქალი ვარსენიკ ბეჟანიანცი. ლეკვინაძე და ესაკია 21 ოქტომბრიდან, დანარჩენნი 1 ნოემბრიდან.

ამორიცხულია მოსამსახურეთა სიიდან: გორის 6 ხარისხის მოხელე ქალი პელაგია ხახანაშვილი სიკვდილის გამო 4 ნოემბრიდან.

სამმართველოს უფროსი მგელაძე.

ᲐᲠᲐ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ.

ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲨᲘ.

დამზღვევი საზოგადოებანი.

ნოემბრის 18 სხდომაზე მოისმინა რა მოხსენება დამზღვევ საზოგადოებათა ყოველგვარი საქმეების შინაგან საქმეთა სამინისტროდან ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსადმი გადაცემის შესახებ მთავრობამ დაადგინა: მიენიჭოს უფლება ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს, რომ მან შინაგან საქმეთა მინისტრთან წინასწარ შეთანხმების შემდეგ დაამტკიცოს წესდებანი ახლად დაარსებულ სააქციონერო საზოგადოებისა და შეცვალოს უკვე მომქმედ საზოგადოებათა წესდებანი. 2. მიენდოს ფინანსთა სამინისტროს თვალყურის დევნების უფლება საქართველოსა და უცხოეთის იმ დამზღვევ საზოგადოებებზე, რომელნიც დაარსებულია სააქციონერო საფუძვლებზე. ეს საზოგადოებანი უნდა ექვემდებარებოდეს ფინანსთა მინისტრს. 3) მიენდოს ფინანსთა მინისტრს, რომ მან მოახდინოს სათანადო ცვლილებანი რესპუბლიკის დამზღვევ საზოგადოებათა უკეთ მოსაწყობად. ყველა ცვლილება, რომელიც საკანონმდებლო სანქციას მოითხოვს,—დასამტკიცებლად დამფუძნებელ კრებას უნდა წარედგინოს.

ნიორის გატანა.

მთავრობამ, მოისმინა რა შუამდგომლობა მომხმარებელ საზოგადოება „ძმობისა“ საზღვარ-გარეთ ნიორის გატანის ნებართვის მიცემის შესახებ, დაადგინა ნება დართოს საზოგადოებას შუამდგომლობაში აღნიშნულ ნიორის 25% გატანისა. საზოგადოებამ უნდა გადაიხადოს გატანაზე დაწესებული განსაზღვრული ბაჟი.

წონისა და ზომის ახალი ნიხრი.

მთავრობამ გადასწყვიტა წონასა და ზომაზე შემოღებულ იქნას გადიდებული ნიხრი.

საგალიუტო ოპერაციები.

ნოემბრის ოცს, მთავრობამ დაამტკიცა საგალიუტო ოპერაციის, შემოღებისათვის საჭირო ინსტრუქციები, რომელიც შედგენილია 1920 წლ. ოქტ. 16, განსაკუთრებულ თათბირის „მიერ შემუშავებული საგალდებულო დადგენილების მე-9 მუხლის თანახმად. ინსტრუქციის ძალით საქართველოს სახელმწიფო ბანკი იძლევა ნებართვებს შეიძინონ უცხო ვალიუტა იმ საკრედიტო დაწესებულებებში, რომელთაც უფლება აქვთ საგალიუტო ოპერაციების წარმოებისა:

1) საზღვარ გარედ გასამგზავრებლად შეიძლება უცხო ვალიუტა გადაეგზავნოს საზღვარ გარეთ მცხოვრებ ქართველებს და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთ ოჯახებს; 2) უცხო ვალიუტის შეძენა შეიძლება აგრეთვე საგაჭრო-სამრეწველო მიზნებისათვის და სხვ. საჭირო არ არის განსაკუთრებული ნებართვა კანონით განსაზღვრულ (ასი გირვანქა სტერლინგი) უცხო ვალიუტის გასატანად. თუ ნიხრზე მეტ ვალიუტის გატანის ნებართვით აო უსარგებლნიათ იგი უკანვე უნდა იქნეს დაბრუნებული. თუ მით უსარგებლნიათ ნაწილობრივ უნდა აღინიშნოს როდის, რომელ დაწესებულებაში, რომელი და რამდენი ვალიუტა იყო შეძენილი. შინაური დაზღვევა ხდება მაოტოდ მარტო ადგილობრივი ბონეგბით; დაზღვევ საზოგადოებებს უფლება ეძლევათ მიიღოს ჯილდოები უცხო ვალიუტით (იგი სახელმწიფო ბანკში უნდა ინახებოდეს), გადაიხადოს გეშებისა და მათი ბოსამსახურეებისათვის მისაღები ფული უცხო ვალიუტით და სხვ. კერძო ბანკებმა ყოველ დღიურად უნდა წარუდგინონ სახელმწიფო ბანკს ცნობები ვალიუტის ყიდვა გაყიდვის ავგარიშების შესახებ, მიუხედავად იმისა მოხდა თუ არა ანა თუ იმ დღეს ოპერაციები უცხო ვალიუტით.

მ ი ს ᲚᲐ ᲛᲔᲑᲐ.

მთავრობის თავმჯდომარის სახელზე ბათომიდან მოვიდა შემდეგი დეპეშა: ორთა ბათომის თენის მრავალ რიცხოვანმა საერთო კრებამ, მოისმინა რა დამფუძნებელ კრების წევრების ა. აბაშიძისა და ი. რამიშვილის მოხსენებანი რესპუბლიკის საგარეო და შინაგან მდგომარეობის შესახებ, დაადგინა გამოსთქვას თავისი კმაყოფილება იმ პოლიტიკით, რომელსაც აწარმოებს დამფუძნებელი კრება და მთავრობა. თემის საერთო კრება სრულ ნდობას უცხადებს დამფუძნებელ კრებას და მთავრობას და პირდება მათ აღმოუჩინოს საჭირო დახმარება; ამასთანავე იგი გამოსთქვამს რწმენას, რომ ახლო მომავალში ბათომის მხარეში შემოღებულ იქნება ავტონომიურ საფუძვლებზე დემოკრატიული მართვა-გამგეობა.

გაუმარჯოს სამუსლიმანო საქართველოში მშობლიურ რესპუბლიკასთან ერთად ძმობასა და ერთიანობას.

იტალიის წარმომადგენელი გირინი მთავრობის თავმჯდომარესთან.

ნოემბრის 22-ს სომხეთში მყოფმა იტალიის წარმომადგენელმა გირინიმ ინახულა მთავრობის თავმჯდომარე.

დამფუძნებელი კრება

24 ნოემბრის სხდომა.

თავმჯდომარეობს ხ. მდივანი.

ეს სხდომა სპეციალურად მოწვეული იყო კონსტიტუციის პროექტის განსახილველად. კონსტიტუციის პროექტის შესახებ საერთო მოხსენება გააკეთა საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე პავლე საყვარელიძემ. მოგვყავს მისი მოხსენების შინაარსი:

პ. ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘᲫᲔ. დამფუძნებელი კრება მოწოდებული იყო სახელმწიფოებრივი საფუძვლები შეექმნა. მისი პირდაპირი დანიშნულება იყო სახელმწიფოს წესდებით კონსტიტუციის შექმნა-შემუშავება. მაგრამ დღემდე დამფუძნებელმა კრებამ ვერ მოახერხა კონსტიტუციის განხილვა. დღეს დამფუძნებელი კრება ღებულობს კონსტიტუციას. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მიღება ხდება მაშინ, როცა საქართველო გაერთიანებულია, მთავრობა და დამფუძნებელი კრება ხალხთან მტკიცეთ შეკავშირებულია. ასეთი გაერთიანებული და ხალხთან მტკიცეთ შეკავშირებული საქართველო ჯერ ისტორიას არ ახსოვს. გაერთიანება მოხდა ორი საშუალებით: კულტურით და დემოკრატიის საშუალებით. შემდეგ ორატორი ადარებს ერთმანეთს ძველ და ახალ საქართველოს. ის ამბობს: საქართველო ძველად დიდ ხანს იყო დამოუკიდებლათ. ცუდი იყო მაშინდელი საქართველოს წყობილება, ფეოდალური იყო საქართველო, მაგრამ მაინც დამოუკიდებლათ ცხოვრობდა და ის (საქართველო) წარმოადგენდა საერთაშორისო უფლების სუბიეკტს. შემდეგ მოხდა 1783 წ. რუსეთთან ტრაქტატი. ამ ტრაქტატის შემდეგაც ფორმალურად საქართველო განაგრძობდა დამოუკიდებლათ ცხოვრებას, ის იყო საერთაშორისო უფლების სუბიეკტათ, მაგრამ რუსეთმა ფაქტიურად თანდათან ანექსია უყო საქართველოს და მას ფაქტიური დამოუკიდებლობა წაართვა, თუმცა, როგორც მოგახსენეთ, ფორმალურად, უფლებრივათ საქართველო ისეთივე დარჩა, როგორც იყო, მისი უფლება ცოცხალი იყო. საქართველოს ხალხი იბრძოდა ამ უფლების განხორციელებისათვის, მაგრამ, რადგანაც მან იცოდა, რომ ამ უფლებას მაშინ შეესხმება ხორცი, როდესაც რუსეთის თვითმპყრობელობა დაეცემა, ამიტომ მთელი მისი ყურადღება და ენერგია ამ თვითმპყრობელობის დამხობისაკენ იყო მიმართული და ამ იდეას, ამ ბრძოლას არა ერთი და ორი მსხვერპლი შესწირა საქართველომ, ამიტომ ისტორიულად საქართველოს უფლება ქონდა გამოეცხადებია დამოუკიდებლობა. მას ამის უფლება ქონდა კულტურულადაც. საქართველოს შეგნება, კულტურული მეობა საუკეთესო გამართლებაა მისი დამოუკიდებლობის, მისი სუვერენობის. არა მარტო ისტორიულ კულტურული, არამედ საქართველოს დამოუკიდებლობას ამართლებს პოლიტიკური, დემოკრატიულ-რევოლიუციონური თვალსაზრისიც. აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ დღევანდელი საქართველო სულ არ გავს წარსულ საქართველოს. წარსულში საქართველოს საფუძველი იყო ფეოდალიზმი, დაქსაქსვა, დღევანდელი საქართველოს საფუძველია დემოკრატიზმი, მთლიანობა.

საქართველომ თავის დამოუკიდებლობის აქტში ნაოლად და მკაფიოდ გამოხატა თავისი სახელმწიფოებრიობის ძირითადი საფუძვლები. დამოუკიდებლობის აქტი—ეს არის ჩვენი ახალი სახელმწიფოებრიობის დასაწყისი, ეს არის კანონთა კანონი, თუ შეიძლება ასე ითქვას, კონსტიტუციის შესავალი კარი. პირველი მუხლი დამოუკიდებლობის აქტისა შეიცავს სახელმწიფოებრივ აღდგენას. ამას მოითხოვდა ხალხის გარდაუვალი საჭიროება. მეორე მუხლი შეიცავს სუვერენიტეტს. მესამე მუხლი განსაზღვრავს სახელმწიფოს წყობილების ფორმას. საქართველომ მიიღო არა მონარქია, არამედ დემოკრატიული რესპუბლიკა. მეოთხე მუხლი ეხება ნეიტრალიტეტს. საქაროველომ თავისი თავი გამოაცხადა ნეიტრალურ სახელმწიფოდ. ის არავის ეომება, არავის ესხმის თავს, მაგრამ თუ მას დაესხმიან—ის თავს დაიცავს. დამოუკიდებლობის აქტი აღიარებს აგრეთვე საერთაშორისო პრინციპებს. ის კეთილგანწყობილებას უცხადებს ყველა სახელმწიფოებს და განსაკუთრებით მეზობლებს. იმ აქტში აღიარებულია აგრეთვე სრული მოქალაქეობრივი და პოლიტიკური თავისუფლება, აღიარებულია ეროვნულ უმცირესობათა უფლებანიც. ეროვნულ უმცირესობათ შეუძლიანთ თავისუფალი განვითარება თავისი კულტურისა. ასეთი ჩვენი დამოუკი-

დებლობის აქტი და ჩვენ არ შეგვეძლო და ვერც შეგვიძლია გადაუხვიოთ მას ჩვენ სახელმძღვანელოდ უნდა მიგველო ეს აქტი. ჩვენ მხედველობაში მივიღეთ და ანგარიში გაუწიეთ აგრეთვე ჩვენი ხალხის მდგომარეობას, მის შეგნებას, კულტურას; ჩვენ მასალად გამოვიყენეთ აგრეთვე სხვა ქვეყნების კონსტიტუცია, მაგრამ ჩვენთვის უმთავრესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი სამი წლის სახელმწიფოებრივ ცხოვრებას, პრაქტიკას, ტრადიციას.

ჩვენ, როგორც ვთქვი, უნდა გვესარგებლნა სხვა ქვეყნების კონსტიტუციებით, მაგრამ მთლიანად არც ერთის მიღება არ შეგვეძლო. და მართლაც, ავიღოთ თუნდაც დემოკრატიული რესპუბლიკა. დემოკრატიული რესპუბლიკა სამგვარია. მაგალითებისთვის ავიღოთ შვეიცარია, ამერიკის შეერთებული შტატები და საფრანგეთი (თუმცა საფრანგეთში წმინდა დემოკრატიული რესპუბლიკა არ არის) ან ვენეცუელა.

შვეიცარიის დემოკრატიულ რესპუბლიკას ახასიათებს პირდაპირი დემოკრატია.

ამერიკას კი ახასიათებს ხელმწიფება განწევრებული დემოკრატია.

საფრანგეთს კი—პარლამენტარული.

შვეიცარიაში ხალხი პირდაპირ კანონმდებლობს. წელიწადში ერთხელ იკრიბება და იღებს ამა თუ იმ კანონს, ირჩევს მოსამართლეებს და სხვ. ამ კრებებზე გადასინჯვენ აგრეთვე კონსტიტუციას და სხვ. მთავრობას ირჩევენ დროებით, ეს არის მხოლოდ 6 კანტონში. დანარჩენ კანტონებს თავი მოყრილი აქვთ კონფედერაციაში, ხალხი კანონმდებლობას ინხორციელებს რეფერენდუმით და ინიციატივით, ხალხი იქ მუდამ კანონმდებელია და ხელმწიფებაც მას უჭირავს ხელში. კონფედერაციაც მთავრობას ირჩევს დროებით, ვადით. ირჩევენ კარგ მოსაქმე მოღვაწეებს, სქმიან მთავრობას. იქ პოლიტიკური პასუხისმგებლობა არ არის.

შეგვეძლო თუ არა ჩვენ მიღება პირდაპირი დემოკრატიის, ან შვეიცარიის ტიპის მთავრობის?—არა პირდაპირი დემოკრატია ჩვენს პირობებში განუხორციელებელი იდეალი იქნებოდა, აგრეთვე ჩვენ არ გამოგვადგებოდა მარტო საქმიანი მთავრობა, რასაკვირველია ჩვენი მთავრობა უნდა იყოს საქმიანი, მაგრამ ამასთან ის უნდა იყოს პოლიტიკურად პასუხისმგებელი მთავრობა. ჩვენს პირობებში სხვანაირი მთავრობა, თუ არა პოლიტიკურად პასუხისმგებელი არ გამოდგება. ჩვენში თავიდანვე მთავრობა სხვა სისტემით იყო შედგენილი. პირველად ეროვნულმა საბჭომ ჩვენში აირჩია მთავრობა სახელობითი, ეს მთავრობა იყო პასუხისმგებელი მთავრობა. შემდეგ პარლამენტის მიერ შედგენილი მთავრობაც პასუხისმგებელი იყო. დამფუძნებელმა კრებამაც პასუხისმგებელი მთავრობის შედგენა მიანდო ნ. ჟორდანიას, ამრიგათ ჩვენში თავიდანვე სახელმწიფოებრივი პრაქტიკა ისეთი იყო რომ მუდამ გვყავდა პოლიტიკურად პასუხისმგებელი მთავრობა. ჩვენში პარლამენტარული პასუხისმგებლობა მოკლე ჩვეულებით და პრაკტიკით არის განმტკიცებული.

ამერიკის დემოკრატიული რესპუბლიკა არის დაფუძნებული მონტეს-კიოს ცნობილ თეორიაზე. მონტეს-კიოს თეორია გულისხმობს ხელმწიფების განაწევრებას; საკანონმდებლო ორგანოს. მთავრობის და სასამართლოს შუა. ეს თეორია გულისხმობს კოორდინაციას და არა სუბორდინაციას. იქ პარლამენტს არ ემორჩილება პრეზიდენტი, მთავრობა, იქ—მინისტრი პასუხისმგებელია პრეზიდენტის წინაშე, პრეზიდენტი კი ხალხის მიერ არის არჩეულიდა მის წინაშე არის პასუხისმგებელი. ამრიგად ამერიკაში არ არის პარლამენტარული პასუხისმგებლობა. ეს პრინციპი—ხელმწიფების განაწევრებისა, უნდა ითქვას, რომ ცხოვრებაში არ ტარდება. თვითონ ამერიკაში ეს დარღვეულია. იქ მოსამართლეებს ნიშნავს პრეზიდენტი და ცხადია მისგან არის დამოკიდებული. სრული დამოუკიდებლობა სასამართლოსი, აღმასრულებელი ხელის უფლების დასაკანონმდები ორგანოსი, რომელსაც გულისხმობს მონტეს-კიეს თეორია, განუხორციელებლათ რჩება. თვით ვილსონი სწერდა თავის წიგნში, რომ ხელმწიფეების განაწევრება შეუძლებელიაო. როგორც მოგახსენეთ, ამერიკაში პოლიტიკური პასუხისმგებლობა მთავრობისა პარლამენტის წინაშე არ არის, იქ პარლამენტში მინისტრები სულ არ ცხადდებიან, ხანდისხან გამოუცხავნიან წელიწადში ერთხელ დაწერილ „პოსლანიეს“ და მეტი არაფერი. ჩვენთვის ის სისტემა და წერაც მიუღებელია. მესამე ტიპის დემოკრატიული რესპუბლიკა ეს არის პარლამენტარული დემოკრატია (ვენეცუელაში). იქ ხალხი სუვერენია როცა დეპუტატებს ირჩევს, მაგრამ არჩევის შემდეგ ხალხის მთელი სუვერენობა პარლამენტის ხელშია. პარლამენტი ყოვლის შემძლეთ არის აღიარებული. ის ხალხთან სულ დაშორებულია და მასთან არავითარი ორგანიული კავშირი არა აქვს. არც ინიციატივის, და არც რეფერენდუმის უფლება ხალხს არა აქვს.

როგორც ხედავთ ჩვენთვის ასეთი ტიპის დემოკრატიული რესპუბლიკაც მიუღებელია. ამ რიგათ ჩვენთვის სამივე ტიპის დემოკრატია მიუღებელია წმინდათ. ჩვენში აუცილებელია შერეული სისტემის ნიადაგზე დადგომა. ჩვენი პირობები მოითხოვენ ამას. ამიტომ ჩვენ დავადექით ჩვენს პარლამენტარულ პრაქტიკას. ეს კი გულისხმობს პოლიტიკურად პასუხისმგებელ მთავრობას. პარლამენტი მთავრობის თავმჯდომარეს ანდობს კაბინეთის შედგენას. ჩვენ შვეიცარიის კონსტიტუციიდან ამოვიღეთ ხალხის სუვერენობის უზრუნველმყოფელი უფლებები: ინიციატივა და რეფერენდუმი ჩვენი კონსტიტუციის ძირითადი საფუძველია ხალხის ხელმწიფება უმაღლესი ძალა-უფლება ხალხს ეკუთვნის.

(დასასრული იქნება).

უცხოეთი

(საინფორმაციო ბანკ. ცნობები).

სიძვირის წინააღმდეგ.

საფრანგეთის ვაჭრობის მინისტრმა განაცხადა, რომ ყოვლად შეუძლებელია სიძვირის შეჩერება პირველ საჭიროების საგნებზე ნიხრისა და სხვა შემზღუდველ ზომების შემოღებით. სულ ერთია მომხმარებელი მაინც გამოსძებნის გზას, რომ გვერდი აუაროს ამ შეზღუდვას, რის შედეგი ფასების ახალი მომატება იქნება. მოქალაქეებმა თვით უნდა შეიზღუდონ თავისი თავი და ცხოვრებაში გაატარონ სამეურნეო ეკონომია, რომელსაც შეუძლია გააჯანმრთელოს საფრანგეთის ეკონომიური ცხოვრებაო.

საბჭოთ მასალის კრიზისი.

რურის ოლქში ნახშირის სიმცირის გამო მუშაობა შეჩერდა რამდენიმე ღუმელისა. ამის გამო დაითხოვეს რამდენიმე ათასი მუშა. ბერლინის გაზეთების ცნობით ჰამბურგში მოსულა ამერიკის გემი, რომელსაც გერმანიისათვის ნახშირი მოუტანია. ეს მოვლენა ამტკიცებს, რომ გერმანიაში ქვანახშირის სიმშილი არსებობს.

მარკოვი ბალშევიკების შესახებ.

ბერლინის პრესას მოყავს სიტყვა მარკოვისა, რომელმაც მუშათა კრებებზე სასტიკი კრიტიკა გაუკეთა ბალშევიკურ წესწყობილებას. მარკოვი მოუწოდებდა კრების მუშებს, პროტესტი განაცხადონ წითელ ტერორის წინააღმდეგ საერთოდ და კერძოდ რუსეთში. რუსი მუშა უნდა განთავისუფლდეს მომაკვდინებელ წითელი ტერორისაგან—განაცხადა მარკოვმა.

საფრანგეთში.

საზღვაო მინისტრმა ლანდრიმ გააცნო რა პრესას საზღვაო პროგრამა მოითხოვა ახალი 5 მსწრაფლ მსვლელი კრეისერი ₰ 12 წყალქვეშა ნავი ხმელთა შუა ზღვაზე გეგემონიის დასამყარებლად უნგრეთში. უნგრეთში მუშათა 65% უსაქმოთ არის. ისინი სახელმწიფოდან არავითარ დახმარებას არ იღებენ. ცხოვრება 5000% გაძვირდა, ხელფასი კი 1500% გადიდდა. ბუდაპეშტში უკანასკნელი არეულობის დროს ხორტის ჯარი მუშებს ესროდა. არიან მოკლულნი და დაჭრილნი. ბუდაპეშტში ანტი-სემიტური ექსცესები გაანახლდა. უკანასკნელ რბევის დროს დაჭრილია 500 კაცი.

საბერძნეთში.

ათინაში საფრანგეთის ელჩმა განაცხადა: თუ საბერძნეთის ტახტზე კონსტანტინე დაბრუნდა, საფრანგეთი დიპლომატიურ დამოკიდებულებას შესწყვეტს საბერძნეთთან.

პრინცები ანდრია და ქრისტოფორე ათინაში ჩავიდენ. გენ. დუხმანისი არ დაინიშნება სტამბოლში მყოფ საბერძნეთის მისიის მეთაურათ, იგი იმსახურებს დედოფალ ოლღასთან. საფრანგეთის პრესა აღნიშნავს, რომ არჩევნები შემდეგი ტაქტიკით იქნება გატარებულიო: წინადადებას მისცემენ ხალხს ერთსა და იმავე დროს ხმა მისცენ მეფე კონსტანტინესა და ვენიზელოსს. ამგვარად ფიქრობენ ზგავლენა მოახდინონ მოკავშირეებზე და სევრის ხელშეკრულება ძალაში დასტოვონ.

დეპუტატთა პალატის სხდომაზე ჟორჟ ლეიგმა განაცხადა, რომ საბერძნეთის საკითხში საფრანგეთი იტოვებს უფლებას იმოქმედოს ისე, როგორც მას სურს, რომ საფრანგეთს არა სურს საბერძნეთის შინაურ საქმეებში ჩარევა, მაგრამ თუ ეს უკანასკნელი ტახტზე მოიწვევს მოკავშირეების მტერთა მომხრეებს მაშინ საბერძნეთმა უნდა იცოდეს, რომ იგი მოკავშირეების მხრივ ვერ იპოვის იმ გვარ დახმარებას და ვერ იქონიებს იმ გვარ განწყობილებას, როგორიც აქამდის არსებობდა. საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ იგი მოლაპარაკებას აწარმოებს ინგლისის მთავრობასთან და ამ საკითხის შესახებ საბოლოო დასკვნის გამოსატანათ იგი ლიდ ჯორჯს შეხვდება.

ელჩთა კონფერენცია.

ელჩთა კონფერენცია შესდგა ოთხშაბათს ქიუალ კამბონის თავმჯდომარეობით. ინგლისის წარმომადგენლად კონფერენციის სხდომას დაესწრო ლინდსეი. კონფერენციამ დაასრულა იმ საკითხების განხილვა, თუ როგორ უნდა მოხდეს გერმანიის სამხედრო მასალათა ლიკვიდაცია.

ერთა ლიგაში.

ოთხშაბათს სხდომა არ ყოფილა. კომისიები გაძლიერებულათ მუშაობდენ. სამხედრო, საზღვაო და საჰაერო კომისიათა სხდომა შესდგა ხალხთა სასახლეში 2 საათზე; კომისიის მიზანი იყო თანახმად ვერსალის ხელშეკრულებისა შესწავლა შეიარაღების შემცირების საკითხისა. ერთა ლიგის საბჭომ განიხილა სომხეთის საკითხი და ვივიანის მიერ შემოტანილი პროექტი შუამავლობის შესახებ.

პალატაში გრძელდება კამათი ვატიკანთან დამოკიდებულების აღდგენის შესახებ. ოთხშაბათს პროექტის ოთხმა მომხრემ სიტყვები წარმოსთქვა.

საბჭოთა რუსეთში

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობები).

სამხედრო ცნობა.

მოზირის ჩრდილოეთით ბალახოვიჩის ჯარის დარჩენილი ნაწილი გაყინულ მდ. იპაზე გადავიდა, მათ ჩვენი ჯარი მისდევს. ჩრდილოეთ-დასავლეთის მიმართულებით რამდენიმე ასეული კაცი გარბის. დამატებითი ცნობებით პეტლიურას წინააღმდეგ ბრძოლის დროს ჩვენ 12000 ტყვე წამოგვიყვანია. ხელთ ვიგდეთ 3 ჯავშანი მატარებელი, 35 ზარბაზანი და 300 ტყვიისმფრქვეველი.

ახალი მიზნები.

საბჭოთა რუსეთის წინ სდგას ახალი მიზნები. პოლონეთის ზავმა და ვრანგელის დამარცხებამ ვერ გაანთავისუფლა მუშები და გლეხები ახალი მუშაობისაგან. ამბ. ტროცკიმ სამართლიანად აღნიშნა, რომ ჩვენ ერთი საათი არა გვაქვს გამარჯვების საგემბლად, თოფი მარჯვენა ხელიდან მარცხენაში უნდა გადავიტანოთ და მარჯვენა ხელში ჩაქუჩი უნდა დავიჭიროთო, ბრძოლა—სიმშილთან, სიღარიბესთან და ავათმყოფობასთან—აი ჩვენი მთავარი მიზნები, რომლებზედაც ჩვენ ვერ გვიმარჯვია ისე, როგორც გავიმარჯვეთ ვრანგელზე.

უცხოელები და რუსეთი.

სახ. კომის. საბჭომ გამოსცა დადგენილება, სადაც აღნიშნულია, თუ რა პირობებში შეუძლია საბჭოთა მთავრობას ნება დართოს უცხოელებს რუსეთის ბუნებრივ სიმდიდრის დამუშავებისა, საბჭოთა მთავრობა დიდი ხანია უცხოელ კაპიტალისტებისაგან იღებს ცნობას, რომ მიეცეს მათ ეს უფლება და საბჭოთა რუსეთი მართლაც საჭიროებს გამოცდილ ძალებსა და დიდს მატერიალურ საშუალებას იმისთვის, რომ შექმნას დაუშრეტელი წყარო ნედლი მასალისა, როგორც ადგილობრივ დასამუშავებლად, ისე საზღვარგარეთ გასატანათ. ახალი კანონი ნებას აძლევს უცხოელ კაპიტალისტებს დაიმუშავონ რუსეთის ბუნებრივი სიმდიდრე აქედან უფლება ეძლევათ ნაწილი საზღვარ გარეთ გაიტანონ. სამაგიეროთ საბ. თავრობა პირობას იძლევა, რომ წარმოებაში დახარჯულ ქონებას რეკვიზიციას, კონფისკაციას და ნაციონალიზაციას არ მოუხდენს თავის წარმოებისათვის მათ უფლება ეძლევათ საბ. რუსეთში დაიჭირონ მუშები, შრომის არსებულ კანონის მიხედვით. წითელმა ჯარმა პეტლიურას ჯარი საბოლოოთ დაამარცხა. პეტლიურას ჯარი გაიქცა პოლონეთში, სადაც იგი განაიარაღეს. პეტლიურა თავის მახლობელ აღმოსავლეთ გალიციაში იმყოფება.

საწარმოო ძალების გასაძლიერებლად.

რესპუბლიკის საწარმოო ძალების გაძლიერებისა და აღდგენის მიზნით სახ. კომ. საბჭომ დაადგინა გამოაქვეყნოს კონცესიათა ეკონომიური და იურიდიული პირობები: 1. კონცესიონერს მიეცემა ხელშეკრულებაში აღნიშნულ პროდუქტების განსაზღვრული ნაწილი, რომლის გატანის უფლებაც მას ეძლევა. 2 გაუმჯობესებულ ტეხნიკურ მასალების ფართე მასშტაბით მოხმარებისათვის კონცესიონერს მიეცემა სავაჭრო უპირატესობანი მანქანების დამზადებაში, დიდება საგანგებო ხელშეკრულება დიდ დაკვირვებებზე და სხვა) 3, კონცესიის ხასიათისა და პირობების მიხედვით მიეცემათ დიდი ხნის ვადით კონცესიები იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილნი იყვენ კონცესიონერები „რისკისაგან“ 4, რუსეთის მთავრობა გარანტიას იძლევა, რომ კონცესინერების ქონებას არ მოუხდენს კონფისკაციას, რეკვიზიციას და ნაციონალიზაციას. 5, კონცესიონერებს უფლება ეძლევათ დაიჭირონ მუშები რუსეთში, შრომის კანონის საფუძველების მიხედვით.

სომხეთი

სომხები ოსმალთა მიერ წამოყენებულ დროებით ზავის პირობებზე დაეთანხმდენ. ტიროლში მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს. ოსმალურ ცნობების მიხედვით სომხეთის ფრონტზე სასტიკი ბრძოლები სწარმოებს. გამარჯვება სომხების მხარეზეა. ქემალისტების მდგომარეობა ადონის რაიონში სერიოზულია.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

ფრანგული ცნობები.

ერთა ლიგაში.

სამშაბათს დილით ერთა ლიგის სხდომაზე ლორდმა რობერტ-სესილმა მოითხოვა, რომ ფართოდ იქნეს გამოქვეყნებული ერთა ლიგის სხდომაზე მომხდარი კამათის ანგარიშებიო. „ნიუორკ-ტრაიბუნი“ წინააღმდეგია გერმანიის ერთა ლიგაში შესვლისა.

ბოლშევიკები და ქემალისტები.

საფრანგეთის პრესის მიერ გამოქვეყნებულ ცნობების მიხედვით, დიმოკიდებულება ბოლშევიკებსა და ქემალისტების შორის მეტად გამწვავებული ყოფილა. ამის მიზეზია ბათომისა და ადერბეიჯანის საკითხები.

გადმოხვეწილთა რიცხვი.

სტამბოლიდან მოსულ ცნობებით ყირიმიდან გადმოხვეწილთა რიცხვი 129,200 უდრის, ამათგან 110000 ვრანგელის ჯარის კაცია.

საფრანგეთის შეხედულება განიარაღების შესახებ.

განიარაღების კომისიაში ლეონ ბურჟუამ განაცხადა: საფრანგეთს არ შეუძლია განიარაღდეს მანამ, სანამ წინასწარ არ იქნება შესრულებული ორი პირობა: 1. გერმანიამ უნდა აღასრულოს ვერსალის ხელშეკრულების ყველა პირობა და განსაკუთრებით ის, რომელიც განიარაღების საკითხს ეხება 2. საკანტროლო და საგამომძიებელო კომისია უნდა შესდგეს და მოქმედებას შეუდგესო.

გერმანული ცნობები.

ვერსალის ხელშეკრულების გარშემო.

გერმანიის პრესა ეხება შავასის ცნობას იმის შესახებ, რომ ბელგიის მთავრობას ფერენბახისა და სიმონისის მიერ რეინის ოლქში წარმოთქმულ სიტყვებიდან გამოჰყავს ის დასკვნა, თითქოს კანცლერსა და საგარეო საქმეთა მინისტრს სურდეთ ვერსალის ხელშეკრულების იმ მუხლის დარღვევა, რომელიც ეიპენსა და მალმედს ეხება. „ბერლინერ ტაგებლატი“ აღნიშნავს, რომ არავინ არა სთვლიდა ხელშეკრულების დარღვევათ იმას როდესაც მთელი 40 განმავლობაში საფრანგეთის მინისტრები პროტესტს აცხადებდენ ელზასლორენის დაკარგვის გამო. სოც.-დემ. გაზ. „ფორვერტსს“ არა სჯერა, რომ ინგლისა და საფრანგეთს მტკიცედ სჯეროდეთ ის, რომ გერმანიას შეეძლოს ხმის ამოუღებლივ და უყურადღებოთ დატოვებ, თავის თანამემამულეთა შევიწროვებისა.

გერმანიის პროტესტი.

ვარშავაში მყოფმა გერმანიის ელჩმა პოლონეთის მთავრობას პროტესტი განუცხადა იმ უწესოების გამო, რომელიც გერმანიის ყოფილ პროვინციებში ხდება; ელჩმა მოითხ-

ხოვა გერმანიის საწინააღმდეგო აგიტაციის შეწყვეტა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნება ეკონომიური და სხვა გვარი დამოკიდებულების დამყარებაო.

კაპიტალის ფარულად გატანა.

ყოფილმა კანცლერმა სოც.-დემ. მილერმა შეკითხვა შეიტანა რეიხსტაგში იმის გამო, რომ ერთმ, ჰოლანდიის ფირმამ საზღვარგარეთ ფარულად გაიტანა გერმანიის კაპიტალი და მოითხოვა დამნაშავეთა სასტიკი დასჯა.

მიწის გასანოყიერებლად.

პრუსიის სეიმში პრუსიის მიწად-მოქმედების მინისტრმა ბრაუნმა მოითხოვა 1.500 მილიონი მარკა მიწის გასანოყიერებელ მასალის ფასის დასაწევად. ამ მასალას გერმანელი მემამულენი ამ ჟამად ვერსად ვერ შოულობენ.

ბავარია და უნგრეთი.

ბავარიის სახალხო პარტიის ბელადი დ. რ. გეიმი ჩავიდა ბუდაპეშტში უნგრეთის მთავრობასთან ეკონომიური საკითხების შესახებ მოსალაპარაკებლად.

მოწოდება.

ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტი

მოუწოდებს რესპუბლიკანურ სამშობლოს შვილთ, „ზურგში“ მყოფთ, რომელთაც არა აქვთ ბედნიერება ბრძოლის ველზე იარაღით დაიცვან ერის თავისუფლება და სამშობლოს დამოუკიდებლობა—არ დაივიწყონ თავისი მოვალეობა მოსალოდნელ მტრის წინააღმდეგ, სასიკვდილოთ გამზადილ, ფრონტზე მდგომ თავგანწირულ მებრძოლთადმი; ჩვენი სიმშვიდე და კეთილდღეობა მათი თავდადებითა და სისხლით არის მოპოებული; ჩვენი ცხოვრება მათი სიმამაცით არის უზრუნველყოფილი, ომს თუ ავსცდებით—მხოლოდ მათის თავდადებითა და სიმამაცით.

არავის არ აქვს უფლება განცხრომას და ზეიმს მიეცეს, როცა საუკეთესო შვილნი ჩვენი ქვეყნისა სიცოცხლეს სწირავს ჩვენი ბედნიერებისათვის. ისინი უკვე ფრონტზე არიან.

ყველაფერი ფრონტს! სირცხვილი უგუნურთა და მოღალატეთ, სხვისი სისხლით მოვაჭრეთ!

საჭიროება დიდია. ფრონტს დახმარება უნდა. მას ალერსი ესაჭიროება. მეომართ მოვლა და პატრონობა სჭირია. ვისაც მოქალაქეობრივი და ეროვნული შეგნება აქვს—დაეხმარეთ ფრონტს რითაც და რამდენიც შეგიძლიათ.

ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტი სასახლეშია მოთავსებული, სადაც ყოველ დღე მიიღება შემოწირულება. ცალკე და დამოუკიდებლად მომქმედ ორგანიზაციების შექმნა არაა სასურველი, აპარატი ერთი და მოწყობილი უნდა იყოს.

ისწრაფეთ მოიხადეთ თქვენი მოვალეობა. შეიტანეთ თქვენი წვლილი თავდაცვის საქმეში. საპროვინციო ადგილობრივ კომიტეტებმა კავშირი დაიჭირონ მთავარ კომიტეტთან.

ვისაც პირადი შრომა უნდა გასწიოს ამ უდიდეს საქმისათვის იქვე გამოცხადდენ. საშუშაო ბევრია—განსაკუთრებით კომიტეტი არავის არ იწვევს.

ყველა ნებაყოფლობით უნდა მივიდეს.

გამარჯვება ფრონტს, სიფხიზლე „ზურგს“!

შრომის სამინისტროში

ბრძოლა ბოროტ-მოქმედებასთან.

მუშათა მაგიდა აქვეყნებს იმ პირთა ახალ სიას, რომელნიც უკანონოდ სარგებლობენ ორი ადგილიდან პურითა და სხვა სურსათსანოვაგით. ამ სიაში 11 პირი შედის: 1) ე. ქეთებაძე, ირიცხება კოოპერატივთა ცენტრალურ კავშირში და დამატებითი სიებში. 2) ი. ლეგენკო ირიცხება მილიციის რეზერვსა და სახელმწიფო თეატრში, 3) ტერ-გრიგორიანცი ირიცხება არსენალსა და თამბაქოს ქარხანა „კომეტაში“, 4) დევიძე ირიცხება მეოთხე კომესარიატსა და კათოლიკოსის საბჭოში, 5) ე. დეკანოზიშვილი ირიცხება სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ერობაში, 6) ე. ჭარუმიძე ირიცხება რეალურ სასწავლებელსა და ქალაქის თვითმართველობაში, 7) გ. ბრჯაშვილი ირიცხება წამლის საკეთებელ სახელოსნოსა და სამხედრო სკოლაში, 8) აპოსტოლოვისა ირიცხება ქალთა მე-3 გიმნაზიასა და კინო თეატრ „მინიონში“ 9) ა. თუმანოვი ირიცხება სახელმწიფო შემნახველ გამსესხებელ კასასა და სახელმწიფო უნივერსიტეტში, 10) გ. თულაშვილი ირიცხება სახელმწიფო ბანკსა და საოლქო სასამართლოში, 11) ა. ხაზანბეგოვისა ხან-საღნაგსკის ელექტრონის სადგურისა და თოფის წამლის ქარხანაში. აღნიშნული პირები მიცემულნი იქნებიან სამართალში; მათ მოესპობათ აგრეთვე ულუფა.

პროფესიონალური ცხოვრება.

— საქართველოს ცენტრ. პროფ. კავშ. აღმასრულებელმა კომიტეტმა მოისმინა რა ს. დევდარიანის მოხსენება ს. დ. პ. ც. კ. გადაწყვეტილების შესახებ, რომელიც ნოემბრის 28 სახელმწიფო თეატრში ფრიდრიხ ენგელსის პატივსაცემლად საღამოს გამართვას შეუდგება, დაადგინა აქტიური მონაწილეობა მიიღოს ამ საღამოს მოწყობაში და წინადადება მისცეს ტფილისის პროფ. კავშირებს ხელი შეუწყონ ამ საღამოს გამართვის საქმეს.

— აღმსრულებელმა კომიტეტმა დაადგინა: ყველა მიმართვა შრომის სამინისტროს სახელზე, რომელიც ამა, თუ იმ ორგანიზაციის მიერ იქნება გაგზავნილი, უნდა გატარდეს ცენტრალურ საბჭოს კომიტეტში. თავის მხრივ შრომის სამინისტრომ თავის ცირკულიარები სხვა და სხვა პროფ. ორგანიზაციათა მიმართ აღმასრულებელ კომიტეტის საშუალებით უნდა გააგზავნოს.

—ცენტრ. საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილების თანახმად შ. აბდუშელი საბჭოს სახელით დაინიშნა დამფ. კრებასთან არსებულ შრომის კომისიაში.

— აღმასრულებელმა კომიტეტმა აირჩია საგანგებო კომისია. ეს კომისია ყოველ მხრივ უნდა გაეცნოს დედათა და ბავშვთა საზოგადოების მოქმედებას.

— რკ. გზელთა ცენტრალურმა მართველობამ გაუწია რა ანგარიში შექმნილ მდგომარეობას და აქტიურ მოხელეთა ჯარში გაწვევას, დაადგინა: რკ. გზის მოსამსახურეთა და სახელოსნოებში მომუშავეთა დელეგატების მე 3 ყრილობა დროებით გადასდოს.

ტფ. ქალაქის თვითმმართველობაში

უკანახენელი დადგენილებანი.

ქალაქის გამგეობამ ავლაბრის ქუჩის ირგვლივ მცხოვრებთა საჭიროებისათვის უფასოდ წყლის ონკანის დასადგმელად და სათანადო მუშაობის საწარმოებლად გაიღო 80170 მანეთი. ონკანი იქნება დადგმული მცხოვრებთა თხოვნის მიხედვით ავლაბრის ქუჩათა კუთხეში.

— გამგეობამ ხორბლეულობის დასაფქველად შემდეგი ნიხრი დააწესა: სასუფთავებელ მანქანით ბრუალას სასუფთავებელით და ობოიკით—70 მან., სასუფთავებელ მანქანით, მხოლოდ უაბოიკოთ და ბრუალის გადურჩევლად.—60 მან. ქერზე ფუთობით სასუფთავებელ მანქანით—75 მან. უსასუფთავებელ მანქანით—65 მან. ელექტრონის და მატორის წისქვილებისთვის ხორბალი 75 მან., ქერი—85 მან. ყველა ზემოდ აღნიშნული ფასებში შედის 5 მან. საფუთო გადასახადი ქალაქის სასარგებლოდ. დიდსოიანცის წისქვილებზე ხორბლეულობის გასაცრელად სანიავებლის საშუალებით დაწესდება ფუთზე 10 მან.

— გამგეობამ დაადგინა: შეძენილ იქნას ინჟინერ ს. ლისიციანის მიერ შედგენილი მონოგრაფია, რომელიც წარმოადგენს ძვირფას მასალას მადათოვის კუნძულის ეხლანდელ მეპატრონეთა შეძენის ისტორიას. წიგნი ნასყიდი იქნება 10.000 მან.

— ნოემბრიდან ქალაქის გამგეობამ სოციალურ დახმარების ტფილისის საზოგადოების ბავშვთა შესანახად გადასდო 600.000 მან. ხოლო ინვალიდთა შესანახად 185.000 მან. მიეცა აგრეთვე ერთი მილიონი მანეთი სოციალურ განყოფილებას ქალაქის სასადილოსათვის სანოვაგის დასამზადებლად.

— მოქალაქეთ ნ. სიხარულიძის და ს. თორდანიშვილის გეგმით ტფილისის აღწერა შედგენილი იქნება ორ ენაზე: ქართულზე და ფრანგულ ენაზე. ქართული წიგნი, რომელიც იქნება ზომით ორასი გვერდი, წარმოადგენს ადმინისტრატიულ სახელმძღვანელოს სხვა და სხვა დაწესებულებებისთვის, ფრანგული წიგნი კი, რომლის მიზანიც იქნება ერთგვარი ინტერესი დაბადოს უცხოელთა შორის საქართველოს დედა ქალაქისადმი—იქნება უფრო მოზრდილი ფორმატისა, ვიდრე ქართული. წიგნში მოთავსებული იქნება ბევრი ისტორიული მასალა, რომელიც გააშუქებს ძველს და ახალ ტფილისის ცხოვრების მხარეებს. ამ წიგნს თან დაერთობა სურათებიც ტფილისის სიძველეთა და საქართველოს აღდგენის დროის მოღვაწეთა. ფრანგული წიგნის ზომა გამოანგარიშებით უნდა იყოს არა ნაკლებ 400 გვერდისა. ქართული წიგნი მზად იქნება დეკემბრის გასულს, ხოლო ფრანგული იანვრის შუა რიცხვებში.

— თანახმად სასურსათო განყოფილების დადგენილებით ნოემბრიდან შეშაზედ შემდეგი ფასები დაწესდა: მაგარი ხარისხის 12 ვერშ. კუბ. საჟ.—22.000 მ. 24 ვერ. კუბ. საჟ. 21.000 მან. რბილი ხარისხის 12 ვერ. საჟ.—18.000 მან. 24 ვერ. საჟ.—17.000 მან. ფუთობით 1-რაიონში—85 მან. 2-რაიონში—90 მან. 3-რაიონში—95 მან., 4-რაიონში—100 მან. ამავე რიცხვიდან ღორის ხორცზე დაწესდა. შემდეგი ნიხრი: გირვანქა ღორის ხორცი ტყავიანი—70 მან. უტყავო—65 მან.

— ხორცის განაწილების დროს უპარატესობა დაეთმობათ: საავადმყოფოებს, დემოკრატიულ საზოგადოებრივ სასადილოებს და შემდეგ განაწილდება მუშა-მოსამსახურეთა შორის.

— რეკვიზიციით დაჭერილ ბინების შეფასება დაევალა საბინაო განყოფილებას.

ახალი ამბები

სასწავლო რუქები. სამხ. სამ. ტოპოგრაფიულ განყოფილების მიერ გამოცემულია ქართულ ენაზედ კედლის სასწავლო ნახევარ სფეროების რუქები, რვა თაბახზე, შვიდ ფერადათ დაბეჭდილი. ცალკე ეკზემპლიარის (8 თაბ.) ფასი სახელმწიფო და ერობის სკოლებისათვის 2.000 მან., სხვა უწყებათა და კერძო პირთათვის 3.000 მან.

ვინაიდან ფრიად მცირე რიცხვია დაბეჭდილი ხსენებულ რუქებისა, ამიტომ რესპუბლიკის სკოლათა შორის თანაბრად განაწილების თვალსაზრისით, ყოველ სკოლის წარმომადგენელს, რუქების მიღების დროს, თან უნდა ჰქონდეს სათანადო მოწმობა სკოლის გამგისაგან ან ერობიდან.

რესპუბლიკის თავდაცვისთვის. ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტის დადგენილებით: 1) ხვალიდან ქუჩებში დაიდგმება ყუთები, სადაც მოგროვდება წაკითხული და ახალი გაზეთები, რომელნიც ყოველ დღე ეგზავნება ფრონტს. 2) რედაქციებს დაეგზავნა თხოვნა, რათა კომიტეტის მოღვაწეობას ყურადღებით მოეკიდონ და ფართო მასას გაეცნონ სიდიადე ფრონტზე მყოფთა დახმარების საჭიროება და აუცილებლობა.

ვლ. მეხიშვილის დაკრძალვის კომიტეტი. სახელმწიფო თეატრების დირექციის ინიციატივით შესდგა ვლადიმერ ალექსი მეხიშვილის ცხედრის დამკრძალავი კომიტეტი, რომელის წევრებად მოწვეულნი არიან წარმომადგენელნი: 1. სახალხო განათლების სამინისტროსი; 2. დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისიისა; 3. სახელმწიფო თეატრების დირექციისა; 4. მსახიობთა კავშირისა; 5. დრამატიული საზოგადოებისა: 6. სახელმწიფო დრამის დასისა; 7. სახელოვნო ცენტრისა; 8. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და 9. რედაქციებისა: „სახალხო საქმე“, „საქართველო“, „ერთობა“, „ბორბა“, „საქართველოს რესპუბლიკა“, „კრუზია“, „სლოვო“. ყოველგვარი წერილები, დეპეშები და სხვა უნდა გამოიგზავნოს სახელმწიფო დრამის თეატრში დამკრძალავი კომიტეტის სახელზე. საჭირო ცნობების მიღება შეიძლება იქვე, ბიბლიოთეკის ოთახში კომიტეტის მორიგე წევრთან დაკრძალვის წეს-რიგი და დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

ბათომი

— საგანგებო რაზმის უფროსის განკარგულებით დატუსაღებულ იქმნა ამ დღეებში არალეგალურად დაარსებული „მეზღვაურთა“ კავშირი, რომელიც რესპუბლიკის მეზღვაურთა კავშირს არ ექვემდებარებოდა და აგრეთვე გემზე აღმართა ბილშევიკური დროშა საბჭოთა კონსულის წინადადებით. დატუსაღებულნი გაიგზავნენ ქ. ქუთაისის ციხეში.

— ქალაქში გრძელდება საეჭვო პირთა დატუსაღება.

— მობილიზაცია ბათომში გრძელდება 25 ნოემბრამდე.

— მოვიდა 22 ნოემბერს გემი „კონსტანტინე“, რომელიც ბერძენ ლტოლვილთ წაიყვანს სალონიკში, ამ დღეებში გემი „პოტოა“ საბერძნეთში წაიყვანს ბერძენ ლტოლვილებს.

— ნოემბერის 20-ს საღამოს 8 საათიდან მთავრობის განსაკუთრებულ რწმუნებულს, ქალაქის მოურავის და მეჯლისის წარმომადგენლების თანადასწრებით სასწრაფო თათბირი ჰქონდა სასურსათო საკითხის მოგვარების და საზოგადოდ ოლქის სურსათით უზრუნველ ყოფის შესახებ.

— მთავრობის რწმუნებულის კაბინეტში ამავე დღეს მოხდა მცირე თათბირი ქალაქში საბინაო სარეკვიზიციო ნიადაგზე უკმაყოფილებათა წარმოშობის გამო. თათბირმა დაადგინა სარეკვიზიციო კომისია გაუქმდეს, მის მაგივრად დაარსდეს საბინაო კომისია, რომელსაც ეენება ბინათა წინასწარ დათვალიერების შემდგომ შესახლების უფლება. შესახლება მოხდება მხოლოდ სახელმწიფო მოხელისა. ეს კომისია იმუშავებს სულ რამდენიმე კვირას, ვინაიდან ახლა უბინოთ დარჩენილთა რიცხვი მეტად მცირეა და დაექვემდებარება მთავრობის განსაკუთრებულ რწმუნებულს. შემდეგ კი ასეთი კომისია სრულიად გაუქმდება და საბინაო საკითხი გადაეცემა ქალაქის თვითმმართველობის. („ბ. ფ.“).

— ტრაპიზონში ქემალისტებს ორი ჰიდროპლანი ჰქონიათ, რომელნიც ყოველ დღე ანატოლიის სანაპიროებზე დაფრინავენ და სდარაჯობენ მოთარეშე და საეჭვო გემების გამოჩენას. მათ უკვე რამდენიმე ნაღმოსანი და საკონტრაბანდო საქონლით დატვირთული გემები დაუტყვევებიათ.

— გონიის რაიონში კომისარმა შეიპყრო არა საიმედო პირები: შაქარ შალიშვილი და პირად მემედ ყადიშვილი. გაჩხოეკის დროს მათ აღმოაჩნდათ სამხაზნიანი თოფი-ვაზნებით, პარაბელიუმის სისტემის რევოლვერები. ორივე შეპყრობილნი ბათომის ოლქის ციხეში მოათავსეს.

— ქალაქის მოურავმა გ. ანჯაფარიძემ საბჭოს სთხოვა ჯარისკაცთა და იმათი ოჯახების დამხმარე საზოგადო კომიტეტის დაარსება და საბჭომ წინადადება მიიღო და აირჩია მთავარი კომიტეტი შემდეგი პირებისაგან; ო. ი. რამიშვილი, გ. ა. ანჯაფარიძე, ა. მნდოიანცი, ნ. საბაევი, ვ. ლლონტი, ა. დიმიტრიადი. ამ კომიტეტს დაემორჩილება ყველა კომიტეტები და ორგანიზაციები, რომლებიც არსებობენ, ან შემდეგში, მოეწყობიან ამავე მიზნებით ქალაქში, გინდ ოლქში.

— ფორთოხალის მოსავალს წელს კარგი პირი უჩანს, მხოლოდ სიცივე უშლის დამწიფებას.

— ჭაობიან ადგილების დაშრობის მუშაობის დასაწყებად საბჭომ მოიწვია ინჟენერი დ. დ. სვიშჩევსკი თვიურად 50 ათასი მან ჯამაგირით. („ს. ს.“)

ფრენოსნობა.

ნოემბრის 20-ს საფრენოსნო სამმართველოში პოლკ. მაჭავარიანმა მოხსენება გააკეთა ევროპის ფრენოსნობის შესახებ. მომხსენებლის სიტყვით, ინგლისს აკვს 120.000 კაცისაგან შემდგარი საფრენოსნო ჯაჭი, ამ 120.000 კაცისაგან 60.000 მფრინავია. მომხსენებელი ადარებს ინგლისს რუსეთს, რომელსაც 1914 წელს ფრონტზე 60 მფრინავი

კანტორისაგან

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ კანტორა

აცხადებს, რომ ნისია ხელის მომწერ დაწესებულებებს 20 ნოემბრიდან გაზეთი არ ეგზავნებათ ვინც ამ თვის ბოლომდე ფულს არ შემოიტანს დაკლებული ნოვრები შემდეგ აღარ გაეგზავნება.

ჰყავდა. ომის დროს ანტანტა რუსეთს აწოდებდა ფრენოსნობისთვის საჭირო სხვა და სხვა ნივთებსა და მასალებს; ამ ჟამად რუსეთის საჰაეო ფლოტს შეადგენს 68 ესკადრილია. ფრენოსნობის მხრივ ყველაზე მაღლა სდგას იტალია, რომელიც მთელი ქვეყნიერობისთვის ამზადებს აპარატებს.

ფრენოსნობის კონკურსზე ყოველგან იტალია იმარჯვებს. საფრანგეთის მფრინავებს უჭირავთ მე-2 და მესამე ადგილი. საფრანგეთი ამ ჟამად ამზადებს იაფ ტიპის აპარატებს ტურისტებისათვის. ახალს აპარატს ამზადებენ გერმანიაში. ამ ჟამად ევროპაში დიდ განვითარებას მიაღწია კომერციულმა ფრენოსნობამ, სადაც პირველი ადგილი საფრანგეთსა და ინგლისს უჭირავს. თანამედროვე გიგანტიურ აპარატებს 2.000 ცხენის ძალა აქვთ და იტევენ 60 მგზავრს. მათ ძირს დაუშვებლად შეუძლიანთ ჰაერში 36 საათს გაჩერდენ. ტეხნიკამ ამ დარგში დიდ განვითარებას მიაღწია და მრავალი მფრინავი აკრობატთ გადაიქცა თავის დარგში. ფრანგმა ფრენავმა 3 საათის განმავლობაში 962 მკვდარი ყურთმაჯი გააკეთა. პარიზსა და ლონდონს შორის საფრენოსნო საზოგადოება მოქმედებს. გადაფრენას მხოლოდ 3 საათი სჭირდება. შემოღებულია ატლეტებზე წინასწარი ჩაწერა. ბინიდან ჰაეროპლანამდე და პირიქით ბინამდე მგზავრები მიყავთ საგანგებო ავტომობილებით. ბილეთები იყიდება კუკის სააგენტოში. მსურველები იმდენად ბევრია, რომ რამდენიმე დღით ადრე ეწერებიან. გადასაფრენის ფასში შედის სიცოცხლის დაზღვევაც. მთელი ამ დროის განმავლობაში მხოლოდ ოთხჯერ გადაიხადეს დაზღვევის ჯილდო. მოიხსენებელი აღნიშნავს, რომ ბრწყინვალე მომავალი მოელის ფრენოსნობის განვითარებას საქართველოში, რომელსაც აქვს საკუთარი საავიაციო სახელოსნოები და ჰყავს გამოცდილი მფრინავები. ჰიდრო-ფრენოსნობისათვის მეტად კარგია საქართველოს ნავთსადგურებში არსებული ბუნებრივი პირობები. ფრენოსნობამ დასავლეთში დიდს განვითარებას მიაღწია. იტალიელები ალპებზე ჰაერონავებით დაფრენენ. ჰიდრო-ფრენოსნობა აადვილებს ზღვის ნაპირების დაცვის საქმეს. საქართველოში—განსაკუთრებით კარგი პირობებია კომერციულ ფრენოსნობისათვის. ტფილისიდან კავკავში გადაფრენისათვის მხოლოდ 40 წუთი იქნება საჭირო; ამგვარად ფრენოსნობა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, მით უმეტეს რომ მისი მოწყობა არც ისე ძნელია, 5-6 კაცის დასატევად საჭიროა 4 ჰაერობუსის შეძენა შეუწყვეტელი მიმოსვლის მოსაწყობად. ფასი ავტომობილის ფასზე ნაკლები იქნება, კარგ ჰაეროპლანებით მოგზაურობა საშიშროებას არ წარმოადგენს: სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ მსხვერპლი ჰაერში უფრო ნაკლებია, ვიდრე რკინის გზებზე, ყოველივე ხარჯი, რომელიც ამ საქმის მოსაწყობად გაიღება 1 წლის განმავლობაში იქნება ანაზღაურებული.

მილიციაში

ქალაქის მოურავის ბრძანებით ზოქალაქე მ. გოგლიძის შეურაცხყოფისათვის 1-ლი უბნის უფროსი მილიციონერი თარხანოვი დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან ერთი თვით დატუსაღებით, ხოლო 1-ლი უბნის კომისარს გამოეცხადა საყვედური და გაფრთხილება, ვინაიდან მოქალაქეთა შეურაცხყოფას მის რაიონში მესამეჯერ აქვს ადგილი.

— სისხლ. სამართლის მილიციის უფროსმა შემდეგი წინადადებით მიმართა მილიციის მოხელეთ: კიდევ ვაფრთხილებ სისხლის სამართლის მილიციის ყველა მოხელეებს, რომ მათ თავიანთ მოვალეობის აღსრულების დროს, დამნაშავეთა პირებისადმი არავითარი უკანონო მოქმედება არ დაუშვან, როგორც მაგალითად, ცემა, ანუ სიტყვიერი შეურაცხყოფა და სხვა რაიმე, და ვაფთხილებ, რომ იმ პირების წინააღმდეგ, რომლებიც იქნებიან შემჩნეულნი უკანონო მოქმედებაში, ჩემ მიერ მიღებული იქნება სასტიკი ზომები, და ისინი იქნებიან მიცემულნი პასუხის გებაში.

— ადგილობრივ გაზეთებში (30 ივლისს 1920 წ.) მოთავსებული იყო ცნობა ტფილისში ა. გრომოვის (გვაფუას ასულის) შესახებ, რომელსაც ბრალდებოდა ქალ. ბათომში პოლონსკის გაქურდვაში მონაწილეობის მიღება. სისხლის სამართლის მილიციამ გამოარკვია რა ეს საქმე აცხადებს, რომ გრომოვას მაგივრად ყოფილა ვიღაც ანნა ნიკოლოზის ასული ხრომოვა. ამ რიგად გრომოვაია-გვაფუას ამ გაქურდვაში არავითარი ბრალი არ მიუძღვის.

— 23 ნოემბერს სისხლის სამ. მილიციამ შეიპყრო უცხო ვალიუტით ვაჭრობის გამო: კ. ოგანეზოვი, მ. მელიტიანცი, ტ. არუთინოვი და რ. ვართანოვი.

— მილიციამ 23 ნოემბერს შეიპყრო და დააპატიმრა ცნობილი აფერისტი ბეჟან აპიანცი, რომელსაც სხვა და სხვა ავაზაკური საქმე ბოლდება.

ფოსტა-ტელეგრაფში

სია ჩაუბარებელი დეპეშებისა 23 ნოემბერს,

სანაინიდან—პოევს, ლანჩხუთიდან—კეშიშოვს, გუდაუთიდან—ლაკერბაის, თელავიდან—საშას, ფოთიდან—ჯორჯოლიანს, ხონიდან—ნადარეიშვილს, ახალციხიდან—საგინოვს, ტობანიერიდან—იაკუბოვს, დიდიჯიხაისიდან—კახიანს, მალიტიდან—თულაიას, იქიდანვე—ბატრაძეს, პილლენკოვიდან—პირწყალავას, ეკატერინოვკიდან—ხორაშს, გორიდან—კარანიანცს, სანაინიდან—არისტეკიანს, მუხრანიდან—ცაგარელს, გორიდან—უტურაშვილს, ქუთაისიდან—ყიფიანს, სუხუმიდან—ჭავჭანიძეს, სანაინიდან—ჩიხლაძეს, მანგლისიდან—მეტრეველს, სანაინიდან—ტატარენკოს, ბათუმიდან—მინასიანცს, ლანჩხუთიდან—კეშიშოვს, ცხინვალიდან—ბალშაგიშვილს, ახალქალაქიდან—მეტრიაშვილს, ეკატერინოვკიდან—ოქროცვარიძეს, სანაინიდან—როსტომიანცს, ბათუმიდან—მიქელაძეს, სიღნაღიდან—გურაშვილს, აბაშიდან—დადიანს, გორიდან—თევდორაშვილს.

ბანცხადებანი

დაიკარგა პასპორტი № 1032 შუშანიკა მანუკის ასული კარაპეტიანცის სახელზე, მიღებული ქ. ახალციხეში. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3837 3—3

დაიკარგა ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტში შესასვლელი ბილეთი მარიამ ამბროსის ასული გაწერელიას სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3836 3—3

დაიკარგა საოჯახო პასპორტი მიღებული სომხეთის წარმომადგენლისაგან ტფილისში მამუ აბეს-ოღლის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3885 3—2

დაიკარგა სამსახურის ნუსხა № 5356 მიღებული ქუთაისის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან 23 მაისს 1920 წ. და მეტრიკული მოწმობა № 231. მიღებული ქუთაისის ქალაქის გამგეობიდან 20 იანვარს 1920 წ. არონ რუბენის ძე ელუაშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3882 3—2

დაიკარგა პასპორტი № 87 ანასტასია შვარცის სახელზე, მიღებული პეტროგრადში. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3883 3—2

დაიკარგა საბინაო დავთარი მაჯარის შესახვევში № 8 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის კროვინცოვს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3884 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა მიღებული აზერბეიჯანის კონსულიდან ტფილისში ამოდ ტოლმასის ძე მელიქ-ტანგიევის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3879 3—2

დაიკარგა მე-5 უბნის სუფსარქისის ქ. № 31 მდებარე სახლის წიგნი. ვასილ მიკირტიჩის ძე ნიკოგოსოვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3880 3—2

მინდობილობა მიცემული ალექსანდრა იოსების ასულის სივრის მიერ მართა პეროსოვაზე შედგენილი ნოტარიუს სტრატოვთან 1919 წ. ივნისში, დღეიდან გაუქმებულია. 3875 3—2

დაიკარგა საპენსიო მოწმობა № 1662 ვასილი ზაქარის ძე ბედოშვილის სახელზე, მიღებული რკ. გზის სამმართველოდან 1920 წ. და სხ. საჭირო საბუთები. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3886 3—2

დაიკარგა ატესტატი, მიღებული ლაზარევის ინსტიტუტიდან, დიპლომი, მიღებული მოსკოვის უნივერსიტეტიდან და პირადობის მოწმობა, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან არმენაკ სერგოს ძე ერიანცის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3876 3—2

დაიკარგა პასპორტი № 1238 კენზი ქავამურას სახელზე, მიღებული სევასტოპოლის მილიციის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3842 3—3

დაიკარგა პასპორტი მიღებული სხვავის ოკრუგიდან (რაჭა) და 60 ფუთი ფქვილის შეძენის ნებართვა მიღებული ტფ. მეორე უბნის კომისრიატიდან თეოდორე პეტრეს ძე სვანის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3869 3—2

დაიკარგა მოწმობა მიღებული ტფილისის მილიციის უფროსის სამმართველოდან მუსა ისკანდარ-ოღლის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3872 3—2

დაიკარგა პასპორტი № 3695 მიღებული ტფილისის პოლიცმეისტერის სამმართველოდან 15 ივლისს 1913 წ. თეოდორე ილიას ძე ბონდარენკოს სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3873 3—2

დაიკარგა პასპორტი გეორგ ავაბეგის ძე ვანეცოვის სახელზე, მიღებული სომეხთა ნაციონალურ საბჭოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3818 3—3

დაიკარგა ქვათანის ორ-კლასიანი სასწავლებლის დამთავრების მოწმობა № 224 კარპე ესტატეს ძე თოფურიას სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3827 3—3

დაიკარგა საბინაო დავთარი ფედოსიევის ქ. № 24 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის ს. მამაცოვს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3814 3—3

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი შიო ბალანტარაშვილის სახელზე, დამტკიცებული ტფ. ოლქ. სასამართლოს უფრ. ნოტარიუსის მიერ 1920 წ. რეესტრიით № 1660. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3808 3—3

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი მატრონა პეტრეს ასული სოლუხოვას სახელზე, დამტკიცებული ტფ. ოლქ. სასამ. უფრ. ნოტარიუსის მიერ 1910 წ. რეესტრის № 2701 გაუქმებულად ჩაითვალოს. 3831 3—3

საქციზო სამმართველო ამით აცხადებს, რომ ღვინის სარდაფის პატრონს ჩავარიძეს დაუკარგავს ღვინის შეძენის ნებართვა № 3396 გაუქმებულად ჩაითვალოს. 3846 3—2

ა. წ. 22 ნოემბერს, ოლქის სასამართლოს შენობიდან მეოთხე უბნის მომრიგებელ მოსამართლის კამერამდის გზაზე დამეკარგა ლია პაკეტი დასახელებული მოსამართლის სახელზე დაწერილი თხოვნით და ამ თხოვნაში დაწვრილებით ჩამოთვლილი დოკუმენტებით, რომლებიც, როგორც მნ ხველი თხოვნიდან ნათლად გაიგებს, მე არ მეკუთვნის და სხვისთვის, თუ არა იმ დოკუმენტის ნამდვილი პატრონისთვის, სრულებით გამოუსადეგია. მპოვნელს ვსთხოვ დამიბრუნოს ის პაკეტი ყველა ქაღალდებით, თხოვნაში აღნიშნულ ჩემი მისამართით და მიიღოს ჩემგან ჯილდოთ 150 ათასი მანეთი. ნ. ცინცაძე. 3864 2—2

დაიკარგა პასპორტი № 719 პორფილე ცაკვას ძე წიფურიას სახელზე მიღებული კიწის (სენაკის მაზ.) საზოგადოებიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 3856 3—2

დაიკარგა პასპორტი № 6796 მიღებული ტფილის. პოლიცმეისტრის სამმართველოდან 1910 წ. კაპიტალინ ანტონის ასული ლინშტეტის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3859 3—2

დაიკარგა პასპორტი № 1875 მიღებული ყაზახთა ატამანისაგან 12 ივლისს 1918 ფეოდოსია ივანეს ასულის სუბოტინის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3861 3—2

დაიკარგა სახელმწიფო უნივერსიტეტში შესავლელი ბილეთი და პირადობის მოწმობა ანა ნადარეიშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3807 3—3

საქციზო სამმართველო ამით აცხადებს, რომ სარდაფის მეპატრონეს ივანე პეტრიაშვილს დაუკარგავს ღვინის შეძენის ნებართვა 1920 წლისათვის. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3845 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა, მიღებული ისპანეთის ვიცე-კონსულისაგან დადროებითი მოწმობა. მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან სერგო იაკოფის ძე ვართანოვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3866 3—2

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების უვადო მოწმობა, მიღებული ტფილ. სამხედრო უფროსისგან დავით ვასილის ძე ბალანჩივაძის სახელზე, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 3957 3—2

დაიკარგა ღვინის აღმართზე, № 10, მდებარე სახლის წიგნი გრიგოლ იერემიას ძე ალხაზოვის სახელზე გაუქმებულად ჩაითვალოს. 3855 3—2

დაიკარგა ნასყიდობის სიგელები, დამტკიცებულნი ტფ. ოლქ. სასამართლოს უფროს ნოტარიუსის მიერ 1893 წ. № 719 და 1893 წ. № 902, რომლითაც იულია ანტონის ასულმა ზანკოვსკიმ შეიძინა ჩიტახოვისაგან მიწა. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3805 3—3

დაიკარგა მეტრიკული მოწმობა № 110 ევგენი ნიკოლოზის ძე მარკოვიჩის სახელზე, მიღებული ქ. გროზნის ეკლესიიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3816 3—3

საქციზო სამმართველო ამით აცხადებს, რომ ღვინის სარდაფის მეპატრონეს ალექსანდრე კუზანოვს პეტრე-პავლეს ქუჩა № 2 მე-7 უბანი დაუკარგავს ღვინის შეძენის ნებართვა მიცემული საქციზო სამმართველოს მიერ 1920 წლისთვის ეს მოწმობა ამიერიდან ითვლება გაბათილებულად. 3897 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 163 მიღებული ქ. ბათომის მილიციის სამმართველოდან ლეონიდ მიხეილის ძე გალჩენსკოს სახელზე გაუქმებულად ჩაითვალოს. 3894 3—1

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი მიღებული ტფ. სამხედრო უფროსისაგან გერასიმე სიმონის ძე ბარელიანცის სახელზე გაუქმებულად ჩაითვალოს. 3895 3—1

დაიკარგა დროებითი მოწმობა № 119 მიღებული ტფ. პოლიტეხნიკუმიდან. იოსებ არსენის ძე კინწურაშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3898 3—1

დაიკარგა საბინაო დავთარი არქიპოვის შესახვევში № 4 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის პაპაიანცს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3902 3—1

დაიკარგა ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მიღებული მატრიკული № 520 ნიკოლოზ არისტარხის ძე კალანდარიშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3903 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 5525 მიღებული ტფ, ქალაქის სამხედრო უფროსისაგან პავლე კონსტანტინეს ძე კურბატოვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3890 3—1

დაიკარგა პასპორტი № 3763 მიღებული ესპანეთის კონსულისაგან ქ. ტფილისში ხაჩიკ გევორქის ძე პაპაზიანის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3891 3—1

დაიკარგა პასპორტი მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან ტიგრანუი სერგეას ასულის მიკირტიჩიანცის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3892 3—1

დაიკარგა საოჯახო მოწმობა № 162 მიღებული ბათომის მილიციის სამმართველოდან მიხეილ გერასიმის ძე გალჩენკოს სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3893 3—1

სახერხავ ქარხნის და წისქვილის „ვაჭრობა მრეწველობის ამხანაგობა“ ამით აცხადებს, რომ ამხანაგობის და მის წევრების მიერ გაცემული ყველა ვექილობა და მინდობილებები დღეიდან გაუქმებულია. ძალაში რჩება მხოლოდ ასატურ გუქასოვის მიერ თავის შვილზე მიხეილ გუკასოვის სახელზე გაცემული მინდობილობა. 3896 1—1